განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 26 თებერვალი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20 მარტი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების მაგისტრი 030707
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლილი ხეჩუაშვილი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ბურდული,** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანჟელა აბულაძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  — უსდ-ში 2014 წლიდან მოქმედებდა აკრედიტირებული სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც დაეფუძნა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა „ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება“ და შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია. სწორედ ამიტომ წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტაციას გადის, როგორც „ახალი“ და მისი მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების მაგისტრი.

  — პროგრამა ოთხ სემესტრს (120 კრედიტს) მოიცავს. პირველი სემესტრი ეთმობა ბაზისურ საგნებს, რომლებიც სტუდენტს ფსიქოკონსულტირების ზოგად თეორიულ ჩარჩოს უქმნის უფრო კონკრეტული მიმართულებების ასათვისებლად და აძლევს ფსიქოლოგიური პრობლემების დიფერენცირების შესაძლებლობას. მეორე სემესტრში სტუდენტებს ფსიქოკონსულტირებისა და დიაგნოსტირების უფრო სპეციფიკური საგნები შეეთავაზებათ, რომლებიც მათ პროფესიული პრაქტიკისა და კვლევითი ნაშრომისათვის ამზადებს. მესამე სემესტრიდან სწავლება მთლიანად ფსიქოკონსულტირების კერძო არჩევით მიმართულებებს — თეორიასა და პრაქტიკას, კონტრაქტორ ფსიქოლოგიურ ცენტრებთან და კლინიკებთან თანამშრომლობას, ფსიქოკონსულტირებისას სუპერვიზიასა და პრაქტიკული შემთხვევების განხილვა ეთმობა (სულ 90 კრედიტი, მათ შორის 60 კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 30 კრედიტი კი — სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს). მეოთხე სემესტრი მთლიანად სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) მომზადებას ეთმობა.

  — წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

  — წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტების დასახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  — აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა 2019 წლის 26 თებერვალს.

  — ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, თვითშეფასების ჯგუფს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მიმდინარე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - — წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტებთან.
- **რეკომენდაციები**
  - — კურსის „აკადემიური წერა, კვლევის დაგეგმვა“ სახელწოდება მოდიფიცირდეს მისი შინაარსისა და დანიშნულების შესატყვისად.
  - — კურსის „მონაცემთა დამუშავება რთული სტატისტიკური მეთოდებით“ სახელწოდება მოდიფიცირდეს მისი შინაარსის მიხედვით ან კურსის შინაარსი ისე შეიცვალოს, რომ შეესაბამებოდეს მის არსებულ სახელწოდებას.
  - — წარმოდგენილ პროგრამას არჩევითი კურსის სახით დაემატოს კურსი კვლევის მეთოდების მიმართულებით, რომელიც ფოკუსირებას მოახდენს სტუდენტებისათვის თვისებრივი კვლევისა და მონაცემთა დამუშავების კომპეტენციების გამომუშავებაზე.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა**
  - — პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატა ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოთხოვნა და B2 დონის ინგლისური.
  - — სწავლის შედეგები რვა კომპონენტზეა დაყვანილი და უფრო მკაფიოდ და დეტალურად გაწერილი.
  - — მოდიფიცირდა კურსები „ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა“ და „ქცევის ანალიზის თეორია და პრაქტიკა“ კურსის მიზნების და სწავლის შედეგების ერთმანეთთან მეტი შესაბამისობის მიღწევის მიმართულებით.
  - — კურსი „მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ მოდიფიცირდა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად.
  - — პროგრამას დაემატა სამაგისტრო დონის შესაბამისი კლინიკური ფსიქოლოგიის კურსები, კერძოდ, წარმოდგენილია ისეთი კურსები, როგორებიცაა „კლინიკური ინტერვიუ“, „ოჯახური წყვილების ფსიქოკონსულტირება“, „სტრესის მართვა, კონსულტირება“.
  - — პროგრამას დაემატა ორი პრაქტიკული კურსი „პრაქტიკა ზრდასრულებთან“ „პაციენტთა ფსიქოდიაგნოსტიკა “.
  - — საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არსებითად შეიცვალა რამდენიმე რელევანტური არჩევითი კურსის შეთავაზების გათვალისწინებით, როგორც ფსიქოდიაგნოსტიკის („გეშტალტ-პრაქტიკა“ და „ფსიქოსინთეზი პრაქტიკა”), ისე — ფსიქოკონსულტირების („გეშტალტ-კონსულტირება“, „ფსიქოსინთეზის ტექნიკები, პრინციპები“) მიმართულებით).
  - — პროგრამაში გადაიხედა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციები და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

— საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ფორმულირება მოხდა ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით, რითაც გამოიკვეთა ის კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რომელიც ექნება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს. შესაბამისი ცვლილებები აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში შეიცვალა განმახორციელებელი პერსონალის ნაწილი, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო ქართული უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, ასევე — მოწვეული სპეციალისტი, მიმდინარე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები — მოამზადოს ფსიქოდიაგნოსტიკის და ფსიქოკონსულტირების სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ ფსიქოდიაგნოსტიკის და ფსიქოლოგიური კონსულტირების სტრუქტურა, შეეძლებათ შეაფასონ კლიენტის/პაციენტის მდგომარეობა, ადეკვატურად განსაზღვრონ რელევანტური კონსულტირების ფორმა და გაუწიონ მათ კონსულტაცია, გაუწიონ თავიანთ კოლეგას სუპერვიზია/კონსულტაცია — შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და ტრადიციების განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზებას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ცოდნის გადაცემასა და განათლების გავრცელებას, აკადემიური თავისუფლების დაცვას, სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდების მიხედვით კვლევა-სწავლებასა და საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობას/აქტიური წევრობას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე — აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრამ აჩვენა, პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც ამ ორის ურთიერთ შესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის მისია; • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში დეტალურად არის აღწერილი ყველა ის თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე -- თითოეული კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი. ამასთან, ნათლად და დეტალიზებულად არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან -- დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და სტუდენტებთან -- შეხვედრების შედეგად და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, განისაზღვრა სასწავლო გეგმის შედეგები (კოგნიტურ, აფექტურ და ფსიქომოტორულ სფეროებში), რომლებიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან.

ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების მაგისტრის ხარისხის მისაღებად სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 120 კრედიტი, რომელსაც აღწევს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნებითა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.

წარმოდგენილი პროგრამისა და მასში შემავალი კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო გეგმაში შემავალი საგნები თანმიმდევრულად და ეტაპობრივად აძლევენ შესაბამის ცოდნას სტუდენტებს. თითოეული კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს გარკვეულ კომპეტენციას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მთლიანად შეძენილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს და საბოლოოდ გადის იმ რვა შედეგობრივ მაჩვენებელზე, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ნიშნულების მიხედვით. ასევე, როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ისე ვიზიტის მსვლელობისას ნათლად და არგუმენტირებულად იკვეთება შეფასების შედეგების უკუკავშირისათვის და პროგრამის გაუმჯობესებისათვის გამოყენების აქტიური პრაქტიკის

ტრადიცია უნივერსიტეტში. თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასება ექვემდებარება ანალიზსა და გამოიყენება შემდგომ გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა; • თვითშეფასების პროცესის ანგარიში; • ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✘			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება“ დაშვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: (1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ფსიქოლოგიაში; (2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარის წარმატებით გადალახვა; (3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის (გასაუბრება მიმღებ კომისიასთან) წარმატებით გავლა (გამოცდა სპეციალობაში, რომელიც გულისხმობს დარგის ფარგლებში შესრულებული წერილობით ნაშრომს, ბაკალავრიატის GPI შეფასებას, CV-ის შეფასებას და პროფესიით დასაქმების მაჩვენებლის შეფასებას); (4) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამასთან, ქვეყნდება განცხადება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოველწლიურ გზამკვლევში (სწავლების ენა, საფასური, მისაღები ადგილები და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია, აგრეთვე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა. ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში: www.sangu.edu.ge.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამა აგებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებთან, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესთან და პროცედურებთან შესაბამისად, რაც ითვალისწინებს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების სრულ ციკლს, მისი მონახაზის შექმნიდან სააკრედიტაციო პროცედურებამდე.

წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გათვალისწინებით. მასში შემავალი კურსები ლოგიკური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი, ხოლო კრედიტები ისეა გადანაწილებული, რომ ყველა მათგანს დაეთმოს აუცილებელი და საკმარისი დრო და ყურადღება. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთი კრედიტის მოცულობა 25 ასტრონომიული საათია და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების გონივრული რაოდენობების ჯამს.

პროგრამა ოთხ სემესტრს (120 კრედიტს) მოიცავს. პირველი სემესტრი ეთმობა ბაზისურ საგნებს, რომლებიც სტუდენტს ფსიქოკონსულტირების ზოგად თეორიულ ჩარჩოს უქმნის უფრო კონკრეტული მიმართლებების ასათვისებლად და აძლევს ფსიქოლოგიური პრობლემების დიფერენცირების შესაძლებლობას. მეორე სემესტრში სტუდენტებს ფსიქოკონსულტირებისა და დიაგნოსტირების უფრო სპეციფიკური საგნები შეეთავაზებათ, რომლებიც მათ პროფესიული პრაქტიკისა და კვლევითი ნაშრომისათვის ამზადებს. მესამე სემესტრიდან სწავლება მთლიანად ფსიქოკონსულტირების კერძო არჩევით მიმართულებებს — თეორიასა და პრაქტიკას, კონტრაქტორ ფსიქოლოგიურ ცენტრებთან და კლინიკებთან თანამშრომლობას, ფსიქოკონსულტირებისას სუპერვიზიასა და პრაქტიკული შემთხვევების განხილვა ეთმობა (სულ 90 კრედიტი, მათ შორის 60 კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 30 კრედიტი კი — სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს). მეოთხე სემესტრი მთლიანად სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) მომზადებას ეთმობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ პროგრამაში შემავალი თითოეული კურსის მიზნები და სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც, თავის მხრივ, ასახული და ჩაშლილია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება სწავლის რვა შედეგს, რომელიც სამ კლასტერში ერთიანდება და ესენია კოგნიტური, აფექტური და ფსიქომოტორული სფეროები. სწავლის შედეგები პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი ცხრილის სახით როგორც სავალდებულო, ისე -- არჩევით საგნებისთვის. წარმოდგენილ პროგრამაში, ასევე, ნათლად არის მოცემული ნიშნულები (გამოთვლილი თითოეული განვლილი კურსის შეფასების ანალიზის საფუძველზე). მიუხედავად ამისა, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ვიზიტის დროს გამოიკვეთა მცირედი მოდიფიკაციის საჭიროება, რამაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი შექმნა (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციის ნაწილი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალექციო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო უახლესი ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალა შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში უახლესი ლიტერატურის ინტეგრირებისა და აღნიშნული ლიტერატურის უცხო ენაზე ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, სავალდებულო ლიტერატურის გარკვეული ნაწილი ინგლისურენოვანია. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, აღნიშნული არ წარმოადგენს ბარიერს სტუდენტებისათვის მიღების წინაპირობებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • კურიკულუმის რუკა.
რეკომენდაციები:

- **აკადემიური წერა, კვლევის დაგეგმვა.** ამ სახელწოდებით წარმოდგენილი კურსის ფარგლებში სტუდენტებს შეეთავაზებათ აკადემიური წერის რიგი საკითხებისა, მათ შორის კვლევითი ნაშრომის მომზადების პრაქტიკული უნარები გამომუშავება, თუმცა კურსის ფარგლებში სტუდენტები არ სწავლობენ (და არც უნდა სწავლობდნენ) კვლევის დაგეგმვას, რაც სრულიად სხვა კურსის მიზანს წარმოადგენს.

  შესაბამისად, რეკომენდებულია კურსის სახელწოდება მოდიფიცირდეს მისი შინაარსისა და დანიშნულების შესატყვისად.

- **მონაცემთა დამუშავება რთული სტატისტიკური მეთოდებით.** აღნიშნული კურსის სახელწოდება მიგვითითებს, რომ კურსის შინაარსი მონაცემთა გართულებული სტატისტიკური მეთოდების (მაგალითად, მრავლობითი და ლოჯისტიკური რეგრესიული ანალიზი, სტრუქტურული განტოლების მოდელირება, იერარქიული ანალიზი, მორედაციული და მედიაციული ანალიზი და ა. შ.) სწავლებას უნდა მოიცავდეს, თუმცა მასში წარმოდგენილი საკითხები ნამდვილად არ არის „რთული სტატისტიკური მეთოდები“ და, უმთავრესად, სწავლების პირველ დონეზე (ბაკალავრიატში) შეთავაზებული საკითხების გამეორებაა (მაგალთად, არაპარამეტრული კრიტერიუმები, კორელაცია და აღწერითი სტატისტიკის თემები). იგივე შეიძლება ითქვას კურსისათვის გამოყენებული ძირითადი თუ დამხმარე ლიტერატურის შესახებ, რომელიც სტატისტიკისა და მონაცემთა ანალიზის საბაკალავრო დონეზე სწავლებისათვის გამოიყენება.

  ამასთან, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის შინაარსიდან და უკვე დაცული სამაგისტრო ნაშრომებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ, შესაძლოა, სტუდენტებს უბრალოდ არც კი სჭირდებოდეთ გართულებული სტატისტიკური მეთოდების სწავლება, თუმცა თითოეული სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში გამოსაყენებელი სტატისტიკური აპარატის შესახებ გადაწყვეტილება სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის მისაღებია.

  ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსის სახელწოდება მოდიფიცირდეს მისი შინაარსის მიხედვით ან კურსის შინაარსი ისე შეიცვალოს, რომ შეესაბამებოდეს მის არსებულ სახელწოდებას.

- **მონაცემთა თვისებრივი ანალიზი.** წარმოდგენილი პროგრამის ვიწრო კლინიკური მიზნებისა და შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი და სასურველია ისეთი სამაგისტრო კვლევების წარმოება, რომელიც, ერთი მხრივ, მიბმული იქნება პრაქტიკულ კლინიკურ სამუშაოზე (და ამგვარი სამაგისტრო ნაშრომი უკვე შესრულებულია ამ პროგრამის ფარგლებში) და, მეორე მხრივ, სტუდენტისგან მონაცემთა ანალიზის შესატყვისი მეთოდებისა და ტექნიკების ცოდნას მოითხოვს. კლინიკურ სფეროში კვლევის წარმოება აუცილებლად არ მოიაზრებს რაოდენობრივი ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას. მონაცემები შეიძლება (და ხშირად მეტად მიზანშეწონილიცაა კვლევის მიზნებიდან და კითხიდან გამომდინარე) დამუშავდეს როგორც თვისებრივად, იქნება ეს შემთხვევის შესწავლა, ინტერვიუების თემატური ანალიზი, ნარატივის სტრუქტურული ანალიზი თუ კონტენტ ანალიზი, ისე — შერეული მეთოდოლოგიით (ანუ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით შეგროვდეს და/ან დამუშავდეს მონაცემები).

  აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია წარმოდგენილ პროგრამას არჩევითი კურსის სახით დაემატოს კურსი კვლევის მეთოდების მიმართულებით, რომელიც ფოკუსირებას მოახდენს სტუდენტებისათვის თვისებრივი კვლევისა და მონაცემთა დამუშავების კომპეტენციების გამომუშავებაზე. კურსის კონკრეტული შინაარსის, განხილული თემებისა და სახელწოდების შერჩევა პროგრამის მიზნებისა და შინაარსის

შესატყვისად უნდა მოხდეს, რაც კურსის ავტორისა და პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე, დამსაქმებლებისა და სტუდენტების ერთობლივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა 2014 წლიდან ხორციელდება, აღსანიშნავია ის ცვლილებები და პროგრესი, რომელიც პროგრამამ პირველი აკრედიტაციიდან დღემდე განიცადა. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, პირველადი აკრედიტაციის რეკომენდაციებს და, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად მოპოვებულ მონაცემებსა და ინფორმაციას; საკუთარ დაკვირვებებს; ლექტორთა და სტუდენტების უკუკავშირს და, ასევე, დარგში მიმდინარე პროცესებს. აკრეტიდაციის ექსპერტების რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობის, კერძოდ, „აპლიკანტისათვის სავალდებულო სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალობის მოთხოვნის ცვლილებას. მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების აღნიშნული წინაპირობა შეიცვალა ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოთხოვნით, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის ძალზე სპეციფიკურ და ვიწრო სპეციალიზაციას. შემდეგი რეკომენდაცია ასევე ეხებოდა დაშვების წინაპირობებში შესაბამისი უცხო ენის B2 დონეზე ფლობის მოთხოვნის დამატებას, ვინაიდან პროგრამაში შემავალ კურსებში ძირითად ლიტერატურად უპირატესად მითითებული იყო უცხოენოვანი ლიტერატურა (ინგლისურ, რუსულ ენებზე). პროგრამამ ამ მხრივაც განიცადა ცვლილება და დაშვების წინაპირობებს დაემატა შესაბამისი მოთხოვნა. ექსპერტთა კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების აღწერას, რომელიც საკმარისად ვრცლად იყო გაწერილი და საჭიროებდა უფრო მკაფიოდ, დეტალურად და ზუსტად ჩამოყალიბებას. წარმოდგენილ პროგრამაში სწავლის შედეგები რვა კომპონენტამდეა დაყვანილი და უფრო მკაფიოდ და დეტალურად გაწერილი. აკრედიტაციის ექსპერტთა დანარჩენი რეკომენდაციები შეეხებოდა პროგრამაში წარმოდგენილი კურსების გადაწყობასა და გადახალისებას, ასევე ზოგიერთი კურსის დამატებას. წარმოდგენილ პროგრამაში სრულად არის გათვალისწინებული აღნიშნული რეკომენდაციები, შესაბამისად, „ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა“ და „ქცევის ანალიზის თეორია და პრაქტიკა“ კურსების სილაბუსებმა ცვლილება განიცადა კურსის მიზნების და სწავლის შედეგების ერთმანეთთან მეტი შესაბამისობის მიღწევის მიმართულებით. რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამაში წარმოდგენილი კურსი „მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ მოდიფიცირდა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის სავალდებულო საგნებს დაემატა სამაგისტრო დონის შესაბამისი კლინიკური ფსიქოლოგიის კურსები, კერძოდ, წარმოდგენილია ისეთი კურსები, როგორებიცაა „კლინიკური ინტერვიუ“, „ოჯახური წყვილების ფსიქოკონსულტირება“, „სტრესის მართვა, კონსულტირება“. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ასევე ეხებოდა ზრდასრულებთან ფსიქოდიაგნოსტიკის და ფსიქოკონსულტირების პრაქტიკაზე ორიენტირებული უფრო მეტი საგნის შეთავაზებას,

რადგან პროგრამის მიხედვით, ფსიქოდიაგნოსტიკის პრაქტიკული მიმართულება უფრო ორიენტირებული იყო ბავშვებთან მუშაობაზე. აღნიშნული რეკომენდაცია პროგრამის პირველივე აკრედიტაციის დროს იყო გათვალისწინებული, კერძოდ, პროგრამას დაემატა „პრაქტიკა 3- პრაქტიკა ზრდასრულებთან“, რომელიც ხორციელდება მემორანდუმის საფუძველზე „ფსიქოლოგიური საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრი იდილია“-ს ბაზაზე. აკრედიტაციის ამ ეტაპზე, კი გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია ზრდასრულებთან ფსიქოდიაგნოსტიკის პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნების დამატების შესახებ, კერძოდ, აღნიშნულ პროგრამაში წარმოდგენილია საგანი - პრაქტიკა 4- “პაციენტთა ფსიქოდიაგნოსტიკა “. და ბოლოს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაცია შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამაში თანამედროვე განათლების ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნის — არჩევითი კურსების შეთავაზების აუცილებლობას, რამდენადაც აღნიშნული პროგრამა მთლიანად აწყობილი იყო სავალდებულო კურსებზე. ამ მხრივ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არსებითად შეიცვალა რამდენიმე რელევანტური არჩევითი კურსის შეთავაზების გათვალისწინებით, როგორც ფსიქოდიაგნოსტიკის („გეშტალტ-პრაქტიკა“ და „ფსიქოსინთეზი პრაქტიკა”), ისე — ფსიქოკონსულტირების („გეშტალტ-კონსულტირება“, „ფსიქოსინთეზის ტექნიკები, პრინციპები“) მიმართულებით). გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში, პროგრამის რეგულარული შიდა შეფასებების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამაში გადაიხედა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციები და შრომის ბაზრის მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ფორმულირება მოხდა ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით, რითაც გამოიკვეთა ის კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რომელიც ექნება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს. შესაბამისი ცვლილებები აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში შეიცვალა განმახორციელებელი პერსონალის ნაწილი, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო ქართული უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი, ასევე — მოწვეული სპეციალისტი, მიმდინარე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული საქმიანობისა და სამეცნიერო უნარების განვითარებაზე.

სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება, რასაც ხელს უწყობს ისეთი აქტივობები, როგორიც არის გუნდური მუშაობა, როლური თამაშები, სიმულაციები, ქეისების გარჩევა და ა.შ. ასევე, მოწვეულ სტუმრებთან, პრაქტიკოსებთან, შეხვედრები. რაც შეეხება კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, ამ მიზანს პროგრამის შემაჯამებელი სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია და ფლობს საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როდესაც პროგრამაში ერთვება, შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებლები მაინც ზრუნავენ მათი პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ამისათვის პროგრამით გათვალისწინებულია მაგისტრანტთა ვრცელი სასწავლო პრაქტიკა. ამის წინაპირობას ქმნის უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დამსაქმებლებთან.

უფრო კონკრეტულად, პრაქტიკულ კომპონენტს უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების სემინარზე განხორციელებული ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა შემთხვევის განხილვა, ფსიქოლოგიური პორტრეტის მომზადება, პირველადი ინტერვიუს მომზადება და ა. შ. და უშუალოდ პრაქტიკის საგნები: „გეშტალტ პრაქტიკა“, „ფსიქოსინთეზი პრაქტიკა“, „ქცევითი დარღვევები პრაქტიკა“ და „პაციენტთა ფსიქოდიაგნოსტიკა პრაქტიკა“.

ამასთან, პროგრამის აკადემიური თუ მოწვეული პროფესურის მნიშვნელოვანი ნაწილი ეწევა არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასაც, რაც ასევე აძლევს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალებას ახლო კავშირი იქონიონ დასაქმების ბაზართან და კვლევის სფეროსთან. ფაქტობრივად, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად არის დამსაქმებელი, რაც პროგრამის სასიკეთოდ მეტყველებს და მუშაობს, ვინაიდან მათ უკეთ იციან, რა კონკრეტული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მიღება სურთ მოცემული პროგრამის დასრულების შემდეგ.

რაც შეეხება კვლევით საქმიანობას, სტუდენტების კვლევით გამოცდილებას იძენენ სტუდენტური კონფერენციებისათვის მომზადებისა და მონაწილეობის პროცესში. ასევე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად საქმიანობს კვლევის მიმართულებით და სტუდენტების ჩართულობა მათ მუშაობაში მიღებული პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებო პროგრამა;
- სილაბუსები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს სწავლა-სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, და სხვა. ისინი საჭიროების მიხედვით, შეიძლება მოიცავდეს დისკუსია/დებატებს, ჯგუფურ მუშაობას, გონებრივ იერიშს, შემთხვევის ანალიზსა და სიმულაციას. საგანმანათლებლო კურსები მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული ფორმატითა და ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ფორმით წარიმართება. თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მეთოდები და აქტივობები მიმართულია სტუდენტების დაინტერესებასა და საჭირო უნარების განვითარებაზე. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა; ასე მაგალითად, მოცემულ პროგრამაზე სწავლა ხელმისაწვდომი იყო სპეციალური საჭიროების (მხედველობის პრობლემის) მქონე სტუდენტისათვის.. სწავლების მეთოდების ადაპტირება ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით გათვალისწინებული და დარეგულირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

• ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება დადგენილი წესის მიხედვით ხდება. შეფასება ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება და ჯამში 100 ქულას შეადგენს. ეს კომპონენტებია: შუალედური და დასკვნითი შეფასება. შეფასების თითოეული კომპონენტი მრავალფეროვან მეთოდებს მოიცავს, მათ შორისაა ტესტი, ესე, დემონსტრაცია, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული და/ან თეორიული დავალება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. ამასთან, დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კომპონენტის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტს 20 ქულის სხვა კომპონენტებში დაგროვებით მაინც შეუძლია დასკვნით გამოცდაზე გასვლა, თუ ჩაუბარებელ კომპონენტს არ აქვს მითითებული, რომ იგი არის სავალდებულო. სავალდებულო კომპონენტის ჩაბარება არის აუცილებელი დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად პროგრამის თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების ფორმები შეესაბამება მასში აღწერილ სწავლის შედეგებს და ზომავს მათი მიღწევის დონეს. სწავლის შედეგების მისაღწევად, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უსდ-ს შემუშავებული აქვს შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდები და კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. სწავლის თითოეული შედეგის მისაღწევად შემუშავებულია შეფასების რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა წერითი გამოცდა, წერითი ნაშრომი, ზეპირი ინდივიდუალური ან/და გუნდური პრეზენტაცია, წერითი და ზეპირი გამოცდის კომბინაცია, საკლასო აქტივობა, სიმულაცია, ქეისის გარჩევა, საშინაო დავალება და ა.შ. აღნიშნული მეთოდები აღწერილია სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების სისტემა, კომპონენტები და კრიტერიუმები. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით,

სტუდენტს უფლება აქვს, წერილობით გაასაჩივროს შეფასება შედეგების გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში. ასევე, შემუშავებულია საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი; • საგანამანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • ელექტრონული პორტალი - www.ums.sangu.edu.ge; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✘			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტი პროფილის განსაზღვრისას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და დასაქმებასთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სისტემის მეშვეობით იღებს. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას სტუდენტი იღებს პირადი ელფოსტასა და პაროლს. სისტემის საშუალებით სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს სასწავლო კურსებს, იღებს ინფორმაციას კრედიტებისა და შეფასების შესახებ, სემესტრის ბოლოს მონაწილეობს ამა თუ იმ კურსის შეფასებაში.

თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, აწვდის მათ ინფორმაციას კონფერენციების შესახებ, რომელიც წლის განმავლობაში 4-ჯერ ტარდება და სთავაზობს აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობას, თუმცა მათში ჩართულობა სტუდენტების მხრიდან ძალიან დაბალია. აღნიშნულის მიზეზად როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის მხრიდან, სახელდება ის ფაქტი, რომ პროგრამაზე მოსული სტუდენტები უკვე დასაქმებული არიან (ხშირად ერთზე მეტ სამსახურში) და ვერ ახერხებენ და (არც არიან დაინტერესებულნი) მსგავს აქტივობებში ჩართვას დროის დეფიციტის გამო, გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში კი უარს ვერ ამბობენ სამსახურის დატოვებაზე.

უნივერსიტეტში ახლახან შეიქმნა „სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების“ სამმართველო, რომელიც სისტემატურად, ყოველდღიურად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოწვეული პედაგოგი, ამავდროულად, დამსაქმებელიც არის, რაც გაცილებით ხელმისაწვდომს ხდის სტუდენტებისათვის შესაძლო სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციასა და რეალურად დასაქმების შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტების წახალისება გაცვლით პროგრამებსა თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში ჩასართავად, რაც ხელს შეუწყობს პროგრამზე ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები და/ან თანახელმძღვანელები, რომლებსაც გააჩნიათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს სტუდენტს კვლევის პროცესში ყველა ძირითად საკითხთან დაკავშირებით. სტუდენტებთან კონსულტაციებს აქვს რეგულარული ხასიათი. სტუდენტს აქვს საშუალება, აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებული თემებიდან ან თავად შესთვაზოს საკვლევი თემის სახელწოდება. ასევე, სტუდენტს ეძლევა საშუალება თავად აირჩიოს სამაგისტრო ნამუშევრის ხელმძღვანელი საკვლევი თემიდან გამომდინარე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო დებულება, რომელშიც გაწერილია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის წესები და პროცედურები. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, რომელთა შესრულების ხარისხი შეესაბამებოდა მიღებულ შეფასებებს და აკმაყოფილებდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მინიმალურ სტანდარტს ფსიქოლოგიაში (მოიცავდა ყველა აუცილებელ და საკმარის კომპონენტს: თეორიულ, კვლევით და ინტერპრეტაციულ ნაწილებს).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • საგანმანათლებლო პროგრამა; • მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; • სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, რომლებსაც აქვთ როგორც შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ისე -- ფართო პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევებითა და პუბლიკაციებით.

პროგრამას ახორციელებს 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, 2 უცხოელი და 12 ადგილობრივი მოწვეული ლექტორი). მიმდინარე წლის 16 იანვრის მდგომარეობით, წარმოდგენილ პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე 42 სტუდენტი ირიცხება. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას (ერთ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე მოდის 3 სტუდენტი). უნდა აღინიშნოს, რომ მოწვეული პერსონალის დენადობა თითქმის არ ფიქსირდება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას (2013 წლიდან დღემდე 10 მოწვეული ლექტორიდან პროგრამა დატოვა სამმა და დაემატა შვიდი მოწვეული ლექტორი).

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობს დატვირთვის სქემით, რომლის განახლება ხდება ყოველ სემესტრში. დატვირთვის სქემა არეგულირებს პერსონალის

საქმიანობას, რომელიც სალექციო საათებთან ერთად მოიცავს სტუდენტებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო საათებს, დამოუკიდებელ მუშაობას, მაგისტრანტების ხელმძღვანელობას და საკუთარი სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, მას სასწავლო პროცესში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და წარმოდგენილ პროგრამას ხელმძღვანელობს მას შემდეგ, რაც პროგრამა შეიქმნა და დაიწყო ფუნქციონირება. იგი აქტიურად იყო და დღემდე არის ჩართული პროგრამის ფორმირებაში, განვითარებაში, დახვეწასა და განხორციელებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურებას საჭირო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უსდ-ში სისტემატურად ხორციელდება სწავლის ხარისხის კონტროლზე მიმართული აქტივობები, როგორებიცაა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების შეფასება. პროგრამას მართავს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, ზრუნავს პროგრამის სტრატეგიული განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სამუშაოს აღწერილობები; • საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • საკონკურსო მასალები; • გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები; • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც); • პროგრამის ხელმძღვანელთან და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები; • სტუდენტებთან ინტერვიუები; • ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. პერსონალის შეფასების პროცესში გამოიყენება თვითშეფასების ფორმები. ამ სახით აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება სემესტრში ერთხელ, სააუდიტორიო მეცადინეობის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში პერსონალს გადაეცემა თვითშეფასების ფორმა, მოგვიანებით კი ხორციელდება ანალიზი და ყალიბდება სამოქმედო გეგმა. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის მუშაობის შედეგები გამოიყენება მათ პროფესიულ განვითარებაში. ამ მიზნით უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, რეგულარული სახე აქვს სამეცნიერო კონფერენციებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემის დაფინანსებას და კონფერენციის მასალების დაბეჭდვას, აკადემიური პერსონალის სტატიების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემას და ასევე, სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის დაფინანსებას. დოკუმენტაციის გაცნობის, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, რომ გასული წლების მანძილზე რეგულარულად ხორციელდებოდა თანამშრომლების მუშაობის შედეგების გათვალისწინებით მათი შეფასება და წახალისება, როგორც ფულადი პრემიების სისტემის, ისე ფასიანი საჩუქრების გამოყენებით, მადლობის გამოცხადებით და მადლობის სიგელების გადაცემით და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გასაუბრება; • თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უსდ-ის მფლობელობაში მყოფი ორივე სასწავლო კორპუსი აღჭურვილია მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (კომპიუტერული კლასები, 9 ცალი სრულად ფუნქციონირებადი „ჭკვიანი დაფა“). სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ შესაბამისი აღჭურვილობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აკადემიური პროცესის სრულყოფილად წარმართვა. არსებული კომპიუტერების რაოდენობა და მათი პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. „ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალური მეცნიერებათა სკოლის პროგრამის“ სტუდენტებს აქვთ წვდომა მათთვის სასურველ პროგრამასთან. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მაიკროსოფტის ოპერაციული სისტემები და საოფისე პაკეტები სრულად ლიცენზირებულია. უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მოსახერხებელია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვისაც. უნივერსიტეტის ვებგვერდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამოწმოს თავისი აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და აკონტროლოს გადახდების სისტემა, საგნებზე რეგისტრაცია, ცხრილების ონლაინ გენერირება და ჩვენება, ჰქონდეს ელექტრონული რესურსები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მატერიალურად უზრუნველყოფილი და კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ კომპიუტერული მომსახურებითაც ისარგებლონ და ბეჭდვის მომსახურებითაც. ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც ბეჭდური (წიგნების და „რიდერების“ სახით გამოცემული) მასალები, ისე -- ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები უნდა აღინიშნოს, რომ უნივერისტეტი საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრია, რომელიც, თავის მხრივ, საერთშორისო კონსორციუმის ELFE -ის წევრია და შესაბამისად, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აქვს წვდომა მონაცემთა ბაზებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება; • თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • სტუდენტებთან ინტერვიუები; • უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • თვითშეფასების ანგარიში; • კომპიუტერული ლაბორატორიის დათვალიერება და სადემონსტრაციო პრეზენტაცია

აღნიშნული სისტემის მუშაობის შესახებ; • დოკუმენტაცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით. • უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მისამართით: http://www.sangu.edu.ge • საუნივერსიტეტო პროგრამის მისამართით: http://www.sangu.edu.ge
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია ცენტრალიზებული ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის ბიუჯეტი. სამაგისტრო პროგრამას „ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება“ ცალკე ბიუჯეტი არ აქვს. ფინანსურ დოკუმენტებში გაწერილი პუნქტები ადეკვატურია. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი, წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების მიღების დინამიკაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დათვლილია პროგრამის შემოსავალი და გასავალი (კომუნალური და სხვა ხარჯების გათვალისწინებით), პროგრამის შემოსავალი ბევრად აღემატება გასავალს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გასაუბრება; • თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სკოლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესი თანამშრომლობითია, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალსა და, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შორის. ისინი ერთობლივად მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შეფასების, სწავლის შედეგების შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება უწყვეტი პროცესია და აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ, სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე. პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან კურსის განხორციელების შეფასება, რის შედეგადაც განისაზღვრება ცვლილების საჭიროება გონივრული ვადების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით რექტორის ბრძანებით ფორმირდება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების

კომპეტენციების შესაბამისად პასუხისმგებლობის სფეროების გადანაწილებას და შესაბამისი მიმართულებით სამუშაოს შესრულებას, ამ მიზნით, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრება; • თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები; • განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები; • პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება მონაწილეობს ხარისხის გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებით საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს საკუთარ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტანდარტებთან. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 19 ნოემბერს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები სრულად იქნა გაზიარებული და პრაქტიკაში დანერგილი. 2013 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ, პროფესიული მოსაზრებებით, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა ისე იხვეწებოდა შინაარსობრივი, თემატური თუ სტრუქტურული მიმართულებით, რომ ცვლილებებს არ გამოუწვევია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები, განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის

უფროსთან გასაუბრება; • პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; • შეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა და სტუდენტთა მონიტორინგის შეფასების მექანიზმები, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები. უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება მოახდინოს სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. შეფასებამ უნდა მოიტანოს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში -- პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. ხელახალი აკრედიტაციის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენამდე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილზე, რომელიც არსებითად გადამუშავებული სახით არის პროგრამაში წარმოდგენილი, გამომდინარე აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნებისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;

• უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრება; • დაწესებულების მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • სტუდენტებთან ინტერვიუები. • პროგრამის შეფასების შედეგები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

გამოყენებითი ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✘			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✘			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ბურდული

ანჟელა აბულაძე